ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 4

ქ. ონი 8 აპრილი 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ეკა მაისურაძე, ფრიდონ გოგრიჭიანი.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

2.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

3.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს 1: ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ და განმარტა, რომ ქ. ონში, ბააზოვის ქუჩაზე მიწის ნაკვეთის გადაცემა ხდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის მათი წერილის საფუძველზე შემდგომი გამოყენების მიზნით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს 2:ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს 3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე - კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე